პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 4 (6069)

1978 წ. 5 იანვარი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საქართველოს პროფსაბჭოში

გუშინწინ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **თ. ი. მოსაშვილმა** მიიღო ჭადრაკში სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონატის პრიზიორები და მათი მწვრთნელები. მიღებაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი **მ. ჩიბურდანიძე**, ვერცხლის პრიზიორები — საერთაშორისო დიდოსტატი **ნ. ალექსანდრია**, სპორტის ოსტატი **ნ. იოსელიანი** და იოსელიანის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **ე. უბილავა**.

თ. ი. მოსაშვილმა მოჭადრაკე ქალებს მიულოცა ჩემპიონატში დიდი წარმატება და უსურვა ახალ წელს ახალი გამარჯვებებით გაეხარებინოთ გულშემატკივრები, რესპუბლიკა, თავიანთი წვლილი შეეტანოთ საბჭოთა სპორტის შემდგომ წინსვლაში. მანვე მ. ჩიბურდანიძეს, ნ. ალექსანდრიასა და ნ. იოსელიანს გადასცა საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს პროფსაბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, მოჭადრაკეთა მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ე. გუფელდი, დ. ჯანოევი და სპორტის ოსტატი ე. უბილავა.

## შრომის ზეიმზე

**გასული** წლის უკანასკნელ დღეს გეგეჭკორის რაიონულ ცენტრში ჩატარდა მოსავლის აღების დამთავრებისადმი მიძღვნილი შრომის ზეიმი, რომელშიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ ღონისძიებას მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მოწეული პროდუქტების საუკეთესო ნიმუშები, მეცხოველეობის განვითარების დამადასტურებელი ექსპონატები.

ზეიმმა რაიონის მცხოვრებთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც ხელი იმანაც შეუწყო, რომ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თაოსნობით მოსავლის აღების ზეიმისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და საშუალო სკოლების საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა დიდი სპორტული პროგრამა.

მაყურებლები გამოფენის დათვალიერების შემდეგ, სადაც ამავე დროს გამოცდილების გაზიარებაც ხდებოდა, სასპარეზოსკენ მიეშურებოდნენ. აქ კი საინტერესო პაექრობა იყო გაჩაღებული ლახტაობაში, ქართულ ჭიდაობაში, ბაგირის გადაძალვაში. გაიმართა ძალოსანთა კონკურსი — გირების აძალვა და სხვ.

გეგეჭკორის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა იგრძნობა. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ამ რაიონის ფეხბურთელთა გუნდმა „ოქროს თავთავის" პრიზის საკავშირო გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო, ხოლო წინასწარი ტურნირი სწორედ გეგეჭკორში ჩატარდა. ახლაც მოსავლის აღების ზეიმზე გამართული საჩვენებელი სპორტული შეჯიბრებები რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული მუშაობის პროპაგანდის საუკეთესო წყაროდ გადაიქცა.

**ს. ნათაძე.**

## თამაშდება სამი თასი

ფეხბურთი

**დაიწყო** ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირები.

ბათუმის ტურნირს ეწოდება „მეგობრობის თასი" და ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ხსოვნას. ადგილობრივი გუნდების გარდა მასში მონაწილეობენ თბილისის, ტაშკენტის, ფრუნზეს, ვლადიმირისა და სხვა ქალაქების ფეხბურთელები.

სოხუმში ასპარეზობს ვ. მარლანიას სახელობის თასის მონაწილე 11 გუნდი. აქ გამოდიან სსრ კავშირის ნაკრები, მოსკოვის „დინამო", უზბეკეთის, სომხეთის, ლენინგრადის, ყირგიზეთისა და სხვა კოლექტივები.

გაგრაში სტარტი აიღო შ. იამანიძის სახელობის თასის გათამაშებამ. მასში მონაწილეობენ მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, ერევნის, თბილისის, ქუთაისის, ყაზანის, როსტოვისა და სხვა ქალაქების გუნდები.

სამივე გათამაშება გასტანს იანვრის შუა რიცხვებამდე.



## ზამთარი არ აშინებთ

**ფოთის** „ვოდნიკის" წყალჯომარდობის სადგური ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო საქართველოში, არამედ კავშირის მასშტაბითაც. ამ ქალაქში ნიჩბოსნობას კარგა ხნის ისტორია აქვს და ამიტომაც არის, რომ იგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ძირითად ბაზას წარმოადგენს. ფოთელ ნიჩბოსნებს ბევრჯერ წარმატებით უასპარეზიათ სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და სპარტაკიადებში. ასე გასინჯეთ, ქვეყნის ნაკრებშიც კი მედლებით ბევრჯერ დაუმშვენებიათ მკერდი.

ახლა ფოთელი ნიჩბოსნები ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობით ინტენსიურად ემზადებიან წლევანდელი სტარტებისთვის. 1978 წელი კი გადამწყვეტია სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში. მწვრთნელების შ. ჭედიას, ა. მატკავას, ა. ჩხაიძისა და სხვების ხელმძღვანელობით იქ ნაყოფიერად მუშაობენ ბაიდარებით, კანოეებითა და აკადემიური ნავებით ნიჩბოსნობის ჯგუფები. სპორტსმენები ზამთარშიც სრულყოფენ ტექნიკას, რათა ნაადრევ სტარტებს მომზადებული შეეგებონ.

* * *

**სურათზე:** ფოთის „ვოდნიკის" ბაზაზე მორიგი ვარჯიშის დაწყების წინ.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

## ისევ მეორე ტურიდან

**ტრადიციული** საახალწლო „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მეორე ტურის მონაწილენი დასავლეთ გერმანიის ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენის ტრამპლინზე ასპარეზობდნენ. როგორც პირველ ტურში, აქაც სპორტსმენებს ამინდი არ სწყალობდათ, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ შესძლო მონაწილეებისთვის 2-2 ცდის ჩატარების საშუალება მიეცა.

შესანიშნავად გამოვიდნენ გდრის „მფრინავი მოთხილამურეები" — ექსივე სპორტსმენმა ათეულში დაიკავა ადგილი. ობერსდორფში გამარჯვებული, 18 წლის მ. ბუზე (გდრ) ამჯერად VI ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, პირველობა მისმა თანაგუნდელმა, ინსბრუკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ი. დანებერგმა მოიგო. იგი პირველივე ცდაზე ყველაზე შორს — 95 მეტრზე თითქმის უშეცდომოდ გადახტა, რისთვისაც 113 ქულა დაიმსახურა. მან მეორე ცდაზე შედეგი მეტრნახევრით გააუარესა, მაგრამ უფრო დახვეწილი სტილით „იფრინა". საბოლოოდ—235,6 ქულა. მეორე ადგილზეა ფინელი კ. იულიანტილა — 221,2 (ნახტომები ორივეჯერ 90 მ). მას 1,6 ქულით ჩამორჩა ფ. გლასი (გდრ).

აღსანიშნავია, რომ წინა ორ შეჯიბრებაში „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მთავარი პრიზი დანებერგმა დაისაკუთრა და ორივეჯერ იგი მეორედ ტრამპლინზე ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა. ამჯერადაც ორი ტრამპლინის ჯამში დანებერგი ლიდერობს — 340,3 ქულა.

## თქვენთვის, სპორტის მოყვარულებო

● „საბჭოთა საქართველო" —1978 წელს... ●

**გამომცემლობა** „საბჭოთა საქართველო" ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა და გულისხმიერებით ეკიდებოდა სპორტულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთა გამოცემის საქმეს. მოგეხსენებათ, საქართველო სპორტის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი ქართველმა მოჭიდავეებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, ძალოსნებმა, ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა, მოჭადრაკე ქალებმა, მთამსვლელებმა, ტყვიით მსროლელებმა და სხვ. მათზე ბევრი საინტერესო წიგნი გამოიცა. მხარეთმცოდნეობის, სპორტული, ტურისტული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია მარტო „ლელოს" ბიბლიოთეკის სერიით ყოველწლიურად სცემს ხუთი დასახელების სპორტული მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულს.

სპორტული ლიტერატურის გამოცემის ტრადიცია არც ახალ, 1978 წელს დაირღვევა. სპორტის ქართველ გულშემატკივრებს მიმდინარე წელს მივაწვდით ექვსი დასახელების წიგნს.

„ხუთივე — ფარქვეში" — ასეთი სათაურით გამოვა გ. აკოფოვის წიგნი. მასში მკითხველი გაეცნობა ქართული კალათბურთის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას. ამ ისტორიის სათავეებთან დგას ენთუზიასტთა მცირე ჯგუფი, რომელთაც გაიკვლეს სახელოვანი გზა პირველი სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებებიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლებისა და კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდის ტიტულის მოპოვებამდე.

სპორტული ჟურნალისტი ა. გურასაშვილი წიგნში „გოლიათთა ოკეანეთში" მოგითხრობთ ქართველ მთამსვლელებზე, მათს ტრიუმფალურ ასვლებზე პამირსა და ტიან-შანზე, საიდანაც ისინი 1976 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულნი დაბრუნდნენ.

ფეხბურთის მოყვარულთათვის ძვირფასი საჩუქარი იქნება მ. კაკაბაძის წიგნი „ტოტალური ფეხბურთის ზეიმი". ამ დიდებული თამაშის ტრფიალნი კიდევ ერთხელ გაიხსენებენ დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე გამართული მსოფლიოს X ჩემპიონატის საფეხბურთო „სპექტაკლებს".

საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულნი მიიღებენ ცნობილი ქართველი ეტიუდისტის ვ. კალანდაძის მონოგრაფიას „საეტიუდო იდეები ეტლების დაბოლოებაში".

ქართული სპორტის ისტორიის მკვლევარი ვ. სიდამონიძე კრებულში „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები" გაგაცნობთ ქართული სპორტის ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

დაბოლოს, ამერიკელი ჟურნალისტის ჯეიმს რამზაი ულმანის წიგნში „მყინვართა ვეფხვი" მოთხრობილია ამბავი ერთი უბრალო, წერა-კითხვის უცოდინარი, მთაში გაზრდილი მტვირთავი ბიჭისა, რომელმაც შემდეგში დაიპყრო დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა). ალბათ მიხვდით, ეს ბიჭი გახლავთ ლეგენდად ქცეული ალპინისტი თენსინგ ნორგეი.

**დ. იუკურიძე,**
**გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მხარეთმცოდნეობის, სპორტული, ტურისტული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციის უფროსი რედაქტორი.**

## საუკეთესოთა შორის

**გაზეთ** „სოვეტსკი პატრიოტის" მკითხველებმა დაასახელეს საბჭოთა კავშირის 1977 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი სამხედრო-ტექნიკურ სპორტის სახეობებში.

ჩვენი რესპუბლიკიდან საუკეთესოთა შორის არის სოხუმის ა. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, იუნიორთა შორის ევროპის გასული წლის ჩემპიონი „გაქცეულ ტახზე" სროლაში, სპორტის ოსტატი **ა. გოროდიანკინი**. იგი ამ სიაში VI ადგილზე იმყოფება.

ათეულს სათავეში უდგას ლენინგრადელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონი **გ. მოისეევი**.

## ფავორიტებზე წინ

**ნახევარ** საუკუნეზე მეტია ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს ქუჩებში ეწყობა მძლეოსანთა საახალწლო კროსი, რომელიც „კორიდე სან-სილვესტრის" სახელით არის ცნობილი. ეს ასპარეზობა სტარტს მუდამ ძველი წლის მიწურულს იღებს, ხოლო ფინიში ახალ წელს აქვს.

ამჯერად მონაწილეებს რბენა კოკისპირულ წვიმაში მოუხდათ, მაგრამ ამას ასპარეზობის სიმძაფრე ოდნავადაც არ შეუნელებია. ფავორიტთა შორის გამოდიოდნენ ცნობილი სტაიერები კენიელი ს. კიმომბვა, შვედი დ. გლანსი, ფინელი ა. პაუნონენი, დ. ულემანი, კ. ფლეშენი (ორივე — გფრ) და სხვები. გამარჯვება საერთაშორისო სარბიელზე შედარებით ნაკლებად ცნობილმა, 27 წლის კოლუმბიელმა დ. ტიბადუისმა.

8900-მეტრიან დისტანციაზე თავიდან ულემანი, ფლეშენი და იტალიელი ცარკონე დაწინაურდნენ, მაგრამ მეშვიდე კილომეტრიდან მათ ტიბადუისი შეუერთდა, ხოლო მერე წინ გავიდა და ფინიშთანაც პირველი მიიჭრა — 23.53. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ფლეშენსა (24.03) და ულემანს 24,12. 10000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი კიმომბვა 28-ე ადგილს დასჯერდა.

# სპორტული ბაზების მშენებლობა — №1 პრობლემა

**ჩვენი მძლეოსნები კარგა ხანია მანეჟის უქონლობას მწვავედ განიცდიდნენ — ეს ნაგებობა „სპორტის დედოფლის“ მოყვარულებს ზამთარში წვრთნისთვის ჰაერივით სჭირდებათ.** უმანეჟოდ, უფრო სწორად, სრულწლიური ინტენსიური ვარჯიშის გარეშე, რაიმე ხელშესახებ წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტი გახდა, ვინაიდან საერთაშორისო სტანდარტებმა ისე აიწიეს, რომ მათი მიღწევა ძველი მარაგით აღარავის ძალუძდა.

**რაოდენ დიდი იყო ქუთაისელ მძლეოსანთა სიხარული, როცა აქ რკინიგზის საბარგოს საწყობები განთავისუფლდა და მისი მანეჟად გადაკეთება გადაწყდა.** მალე ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების დახმარებით გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს.

ეს მოხდა 1970 წელს, მერე 120 მეტრი სიგრძისა და 12 მეტრი სიგანის მანეჟი თანდათან კეთილმოეწყო, მოსკოვიდან შემოტანილი რეზინოლით რვა სარბენი ბილიკიც გაკეთდა; მწყობრში ჩადგა გასახდელები, შხაპი. მალე ნაგებობას შეემატა სახტომი ორმოც, სადაც შეიძლება სიგრძეზე, სიმაღლეზე და სამხტომელთა ვარჯიშების ჩატარება.

ცხადია, ყველაფრის ერთბაშად მოწყობა არ მოხერხდა და სპორტსმენებიც, ამითაც იოლად გადიოდნენ. მთავარი ის გახლდათ, რომ ზამთრობით წვიმა, ცივი ქარი და ზოგჯერ თოვაც აღარ აწუხებდათ.

## სითბოს მოკლებული ზრუნვა

აქ მუდამ ხალხმრავლობაა — ჯგუფები ჯგუფებს ენაცვლებიან.

მანეჟს არც ზაფხულში აქვს მოცლა. ქუთაისელები სპორტული დარბაზებით განებივრებულნი როდი არიან, ამიტომაც მანეჟი იქაური მოჭიდავეებისა და მოკრივეების, ფეხბურთელებისა და მოფარიკავეების, სხვა სახეობათა წარმომადგენლების საერთო ფიზმომზადების კერად გადაიქცა. მერე კი სპეციალური ვარჯიშების ჩატარებაც დაიწყეს და ქალაქის სპორტული მუშაობის სიმძიმის ცენტრმაც თანდათან აქეთ გადმოინაცვლა.

ახლახან მანეჟთან მოჭიდავეებისთვის სპეციალური დარბაზი (86×12 მ) აიგო, რომელშიც ერთდროულად ორი ხალიჩა გაიშლება. სპორტდარბაზი საექსპლოატაციოდ ამ დღეებში უნდა გადაეცეს. ეს რკინიგზელი სპორტსმენებისთვის (და სხვებისთვისაც) კარგი საჩუქარი იქნება.

როგორც სპორტკლუბ „თბომავლის“ გამგეობის საზოგადოებრივმა თავმჯდომარემ და მანეჟის დირექტორმა ნ. ზივზივაძემ გვითხრა, სპორტდარბაზი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღიჭურვება და თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეების, სამბისტების წვრთნის ძირითადი ბაზა გახდება.

„თბილმავალი“ რკინიგზელთა რვა ფიზკულტურულ კოლექტივს აერთიანებს, იგი ემსახურება სალოკომოტივო დეპოს, სავაგონო პუნქტის, ქუთაისის პირველი და მეორე სადგურების, სადგურ რიონის, სალიანდაგო დისტანციის, რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკისა და რკინიგზის სკოლების მასწავლებელთა ორგანიზაციებს. 1500-ზე მეტი ფიზკულტურელი პატარა ძალა როდია. მათთვის სპორტკლუბს სპორტის 13 სახეობაში აქვს შექმნილი სექციები. იქაურ ბალახის ჰოკეისტებს ბადალი არა ჰყავთ რესპუბლიკაში. მოჭიდავეები, მოკრივეები, მოფარიკავეები ქუთაისის ჩემპიონები არიან.

სპორტკლუბმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა: 2 სპორტის ოსტატის მაგიერ 5 მოამზადა, 10 პირველთანრიგოსნის ნაცვლად — 16. ასეთივე კარგი შედეგი აქვთ სხვა თანრიგის სპორტსმენების, მშდ ნიშნოსნების, საზოგადოებრივი კადრების აღზრდაში.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ მანეჟის ნაყოფიერ საქმიანობას მიუძღვის. კიდევ უფრო მეტი იქნებოდა სარგებლობა, მანეჟს რომ მთავარი რამ არ აკლდეს [illegible]. არადა ქალაქის სპორტსაზოგადოებების, განათლების განყოფილების მძლეოსნობის 28 ჯგუფი (სხვა სახეობებზე აღარას ვამბობთ) ტემპერატურის მკვეთრად დაცემის დროს მანეჟშიც ვეღარ მეცადინეობს.

ამ მანეჟიდან სითბოს უახლესი წყარო 800-900 მეტრშია. ეს გახლავთ აბრეშუმის კომბინატი, მაგრამ, როგორც სპორტკლუბში გვითხრეს, კომბინატის დირექცია ვერასგზით ვერ დაითანხმეს იმაზე, რომ სპორტსმენებისთვის სითბო გაენაწილებინათ. სხვა პერსპექტივა კი ჯერჯერობით არ ჩანს.

არადა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე ბევრი დრო როდი დარჩა. თუ ამ მანეჟისა და სპორტდარბაზის გათბობის საკითხი დროულად არ მოგვარდა, ქუთაისელებს საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის მზადებაში ხელი შეეშლებათ, ამ ქალაქიდან კი რესპუბლიკა, როგორც ყოველთვის, ახლაც საფუძვლიან შევსებას მოელის.

**ჯ. ქვარცხავა.**

# კარგ თაოსნობას — ერთგული მიმდევრები

საწარმოო ტანვარჯიშიდან სპორტული სექციების გავლით — ასე ესახებათ გამარჯვებისკენ მიმავალი გზა ქარხანა „ბოლშევიკის“ მუშა-მოსამსახურეებს. სამი წლის წინათ ინჟინერ-ტექნოლოგი ა. ვიკულოვა გახდა ქვეყანაში პირველი სპორტის ოსტატი და მშდ კომპლექსის მრავალჭიდის ოქროს მედლის მფლობელი ჯგუფურ ჩათვლაში. ამ ამბავმა ახალბედები იმედით აავსო, ვეტერანებს კი რწმენა განუმტკიცა.

— მრავალჭიდმა ხელმეორედ დამიბრუნა სიჭაბუკე, — ამბობს 48 წლის ზეინკალი გ. ალექსანდროვი. იგი სპორტის ოსტატია და მრავალჯერ დაუცავს ქარხნის სახელი დიდ შეჯიბრებებში. მაგრამ მალე სათხილამურო ახალგაზრდებს დაუთმო. ალექსანდროვს ზამთრის მრავალჭიდისკენ გაუწია გულმა. ახლა თავის ასაკობრივ ჯგუფში იგი — ლენინგრადის ჩემპიონატების არაერთგზის ჩემპიონი — მრავალი მასობრივი სტარტის შეუცვლელი მონაწილეა.

— ასეთი ბიოგრაფია უჩვეულო არ არის ჩვენი კოლექტივისთვის, — გვიამბობს ქარხნის სპორტკლუბის თავმჯდომარე ა. გირშინი, — მშდ მრავალჭიდმა. რომელიც ჩართულია საამქროთა და ქარხნის სპარტაკიადებში, ხელი შეუწყო სპორტში ასობით ადამიანის დაბრუნებასა და საკმაოდ ძლიერი ნაკრები გუნდის შექმნას. ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების მასობრივ საკავშირო საზაფხულო შეჯიბრებებში ქარხნელმა ფიზკულტურელებმა გაზეთ „ტრუდის“ პრიზი მოიპოვეს, ამას წინათ თბილისში ჩატარებულ სსრ კავშირის ჩემპიონატში კი ინსტრუქტორი ნ. ივანოვა პირად პირველობაში ოქროს მედალს დაეპატრონა.

გამარჯვებისკენ მიმავალი გზა კი, როგორც ნებისმიერ საქმეში, ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე მწვრთნელს — ინჟინერ-კონსტრუქტორ გ. ულანოვს ალბათ გაუჭირდებოდა ასე სწრაფად ენთუზიასტთა ჯგუფის შეკვრა და მისი პირველი სტარტებისთვის მომზადება.



ქარხნელ მრავალჭიდელებს ვარჯიშისთვის ყველა პირობა შეუქმნეს. 400 მეტრზე რბენაში ლენინგრადის ექსჩემპიონს ა. ვიკულოვას ცოტა დრო როდი დაჭირდა, ვიდრე გამოცდილი მწვრთნელების დახმარებით სროლის საიდუმლოებას დაეუფლებოდა. ქარხნის აუზის მწვრთნელებმა ითავეს ს. საიფუტდინოვაზე ზრუნვა, რომელმაც კარგა ხნის მანძილზე ვერ დაძლია ცურვაში წამოჭრილი სიძნელეები. ახლა 20 წლის გოგონა ლენინგრადის ჩემპიონია. იგი წევრია ქალაქის ნაკრები გუნდისა, რომლის ბირთვს შეადგენენ ბოლშევიკელი მრავალჭიდელები და რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე გ. ულანოვი ხელმძღვანელობს.

ძველი ტრადიციისამებრ კარგ თაოსნობას ქარხანაში ყოველთვის ჰყავს ერთგული მიმდევრები. სპორტის ოსტატი სათხილამურო რბოლაში, ზეინკალი ი. ლოტკოვი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ რამდენიმე გუნდის გამოყვანა შეუძლია ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში.

ზეინკალი გ. ვარლამოვი ლენინგრადის ჩემპიონია IV საფეხურის პროგრამის მიხედვით. ნევის რაიონის სახელი არაერთხელ დაუცავთ მდივან-მემანქანეს ი. ლიტვინოვას და მის თანაგუნდელ ვ. ოსტანინას. ამგვარი არჩევანი ნებისმიერ მწვრთნელს შეშურდებოდა, თუმცა „ბოლშევიკში“ ამას ჩვეულებრივ ამბად თვლიან. გამარჯვებათა საწინდარია ღრმად გააზრებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა, სადაც საპატიო ადგილი უჭირავს ფიზკულტურასა და სპორტს. მარტო საქარხნო სპარტაკიადის პროგრამაში შედის შეჯიბრებები სპორტის 12 სახეობაში.

ცვლაში ორჯერ, ხმამაღლამოლაპარაკეთი მუსიკის თანხლებით გაისმის ქარხნის საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორის ხმა.

საიუბილეო წელი სპორტკლუბისთვის განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა. ქარხნის კოლექტივმა აღზარდა 15 სპორტის ოსტატი და მშდ ნიშნოსანი. დროული იქნება მოპოვებული პრიზებისთვის, თასებისა და ვიმპელებისთვის შეიქმნას მუზეუმი. ზამთარში კოლექციის შევსებას პირველი აპირებენ მშდ მრავალჭიდელები.

**ს. გავრილოვი,**
**(საკდესის კორ).**

●



ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ცისკენ მიმავალ გზას ფრუნზეს დოსააფის ავიასპორტკლუბში დაადგა. ბევრისთვის აეროკლუბში მეცადინეობა შესანიშნავი დასვენებაა, მაგრამ სპორტკლუბის აღზრდილთა შორის არიან გამოჩენილი ავიატორებიც, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენები.

* * *

სურათზე: სათვითმფრინავო სპორტის ერთ-ერთი ენთუზიასტი, ინჟინერი კ. სუბანბეკოვი.

საკდესის ფოტო.

# ნაირსახეობა პენსიისა

### ფელეტონი

**რა არის** პენსია?

მივმართოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონს: ფულადი დახმარება, რომელსაც რეგულარულად იღებენ მოქალაქეები კანონით დადგენილ შემთხვევებში (მოხუცებულობის, ინვალიდობის და მისთ. გამო), — გარკვევით წერია შავით თეთრზე.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს განსაზღვრება ზოგიერთ დაზუსტებასაც საჭიროებს. თურმე არსებობს „პენსია“, რომელსაც „რეგულარულად იღებენ“ ვაი-მოქალაქეები უკანონო „კანონით დადგენილ შემთხვევებშიც“ (ძველბიჭობის, ფიზიკური მონაცემების, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის დოყლაპიობის, შემწყნარებლობის და მისთ. გამო).

ჰკითხეთ თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის საცდელი წარმოების ახალგაზრდული კოლექტივის გათვითცნობიერებულ წევრებს და საიდუმლოდ გეტყვიან, რომ პენსიის ეს ორიგინალური ნაირსახეობა მათთვისაც არაა უცხო: წარმოების ფიზკულტურის შტატიანი მეთოდისტი **დ. ციმაკურიძე** აგერ უკვე ორი წელია რეგულარულად იღებს საკმაოდ სოლიდურ „პენსიას“.

მცირეოდენი დაზუსტებაც: პენსიას, როგორც წესი, ბინაზე ღებულობენ, ციმაკურიძე კი თვეში ორჯერ თავისი ფეხით მიდის მის ჩასაჭიბად.

სხვა დროს, ნურას უკაცრავად, სათოფეზე არ ეკარება წარმოებას, ან რაზე უნდა შეიწუხოს თავი, კალთაზე ხომ არავინ ეჭიდება, გინდა თუ არა მოდი და საქმეს მიხედე?! საქმეს კი ნამდვილად სჭირდება მზრუნველი ხელი: **წარმოებაში დიდი ხანია ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, არ ტარდება მასობრივი შეჯიბრებები, დანერგილი არაა საწარმოო ტანვარჯიში და მშდ ფიზკულტურული კომპლექსი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთ მრავალრიცხოვან ორგანიზაციაში ფიზკულტურის კოლექტივიც არ არის შექმნილი და ცხადია, არც ამ კოლექტივის საბჭო არსებობს.**

წარმოების უფროსს ჯ. აფანასიევს ფიზკულტურასა და სპორტზე საუბარი რომ ჩამოვუგდეთ, ასე გვიპასუხა: „მე ვიცი ერთი რამ — სახელმწიფო გეგმა. ჩვენი საქმიანობაც, ბუნებრივია, გეგმის წარმატებით შესრულებას ექვემდებარება. სხვა ამოცანას ჩვენ არ ვისახავთ. ფიზკულტურისა და სპორტისთვის (ბოდიში მომიხდია) ჯერჯერობით ვერ ვიცლით. რაც შეეხება ფიზკულტურის მეთოდისტს, მისი მოსვლა ჩემთვის არავის უკითხავს და, მართალი გითხრათ, არც მისი საქმიანობით დაინტერესებულვარ“.

აქ, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ახლა წარმოების პარტბიუროს მდივანს **ვ. იაკობიძეს** მოვუსმინოთ: „თვეზე მეტია, რაც ამ ორგანიზაციაში გადმოვედი სამუშაოდ, ფიზკულტურის მეთოდისტი დ. ციმაკურიძე ერთხელაც არ მინახავს. ამ მტკივნეულ საკითხს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის უახლოეს კრებაზე უსათუოდ განვიხილავთ“.

**ე. მიქაშავიძე,** კომკავშირის კომიტეტის მდივანი: „გულახდილად უნდა გითხრათ, ფიზკულტურა და სპორტი ჩვენთან ჯერ კიდევ „უცხო ხილია“. დ. ციმაკურიძე მონდომებული მუშაკი რომ იყოს, ჩვენც მხარში ამოვუდგებოდით და ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობასაც გავაჩაღებდით. მონდომება რომელია, შორეული ნათესავივით ათასში ერთხელ გვესტუმრება, თუმცა მაინცდამაინც არც მაშინ იწუხებს თავს. არადა, პირობები ცუდი როდი გვაქვს, ფრენბურთის მოედანი, საცურაო აუზი... ყველა საამქროში შეიძლება დაინერგოს საწარმოო ტანვარჯიში. ტურისტული ლაშქრობების მოწყობასა და მშდ-ის ნორმატივების ჩაბარებას რაღა დაუდგება წინ? ისევ და ისევ ჩვენი უნიათობა და გულგრილობაა ჩამორჩენის თავიც და ბოლოც“.

**ზ. დობორჯგინიძე,** სამეცნიერო საწარმოო სათაო გაერთიანება „ელვას“ ფიზკულტურის უფროსი მეთოდისტი: „მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის საცდელი წარმოება ჩვენს გაერთიანებაში ჩამორჩენილი უბანია ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მხრივ. მეტად უცნაური კაცია დ. ციმაკურიძე, ხან აქედან მოვუარეთ, ხან იქიდან, მაგრამ თითის თითზე დაკარება არ ისურვა. ამის შესახებ „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოშიც კარგად იციან“.

ერთი სიტყვით, ყველა მიხვდა, რომ ციმაკურიძე უკანონო „პენსიას“ იღებდა, მაგრამ... ხომ გახსოვთ, თაგვებმა რომ მოილაპარაკეს: კატას ეჟვანი შევაბათო. ბევრი ემებეს, მაგრამ ამ საქმის შემსრულებელი არავინ გამოჩნდა. თაგვები, მოგეხსენებათ, დღესაც ამ ყოფაში არიან, ციმაკურიძეს კი როგორც იქნა „ეჟვანი შეაბეს“... საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის საცდელ წარმოებაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ჩაშლის თაობაზე და ციმაკურიძემაც „თავისი“ პენსია დაჰკარგა.

**ზ. ელბუჯაური.**

## რუსთავი

რუსთავის მე-17 საშუალო სკოლაში ჩატარდა უკვე ტრადიციადქცეული შეჯიბრება თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა ავტოგრაფებიან ბურთზე. ეს ღონისძიება მეხუთე წელია ტარდება. პრიზს დაეუფლენ მე-6-ბ კლასის მოსწავლე ბიჭები.

**უ. ფილიევი,**
**ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

## ტრადიციად იქცევა

ამას წინათ გარდაბნის რაიონის სართიჭალის 85-ე სოფლის ტექნიკური და 47-ე პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურული საბჭოებისა და კომკავშირის კომიტეტების თაოსნობით მოეწყო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ეს ასპარეზობა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ზოგ სახეობაში სართიჭალელებმა იმარჯვეს, ზოგშიც გარდაბნელებმა.

პროფტექგანათლების სისტემის ამ ორი სასწავლებლის ფიზკულტურელების შეხვედრები ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

**პ. ანასაშვილი.**

# მონადირენი ცეცხლის ხაზზე

**ბათუმში** ჩატარდა საქართველოს მონკავშირის პირად გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, მახარაძისა და ბათუმელი სპორტსმენები.

ადგილიდან სროლაში თბილისელებმა იმარჯვეს, მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში — მასპინძლებმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს დედაქალაქის მესტენდურებმა.

პირად პირველობაზე ადგილიდან სროლა მოიგო მახარაძელმა მ. ლომთათიძემ, ხოლო მრგვალ სტენდზე უძლიერესი იყო ქუთაისელი ზ. მელაძე.

**ნ. დევაძე.**

# ჰოკეი და იმედით სავსე თვალები

„შა-ი-ბუ! შა-ი-ბუ! შა-ი-ბუ“!

ჰოკეის გულშემატკივართა ეს მხნეობით აღსავსე და გამარჯვების მაუწყებელი შეძახილები კარგად არის ცნობილი მთელი მსოფლიოს ჰოკეის მოყვარულთათვის. დიდი და შთამბეჭდავი გამარჯვებებით იმსახურებენ კიდეც საბჭოთა ჰოკეისტები ამ მხარდაჭერას.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტთა ამ დიდ გამარჯვებებში საქართველოს არავითარი წვლილი არ მიუძღვის. იტყვით, ჰოკეი ჩვენში დანერგილი არ არის და რა მოგვეთხოვებაო? ჩვენც მანდა ვართ. რატომ არ არის მერე? რატომ არ ვზრუნავთ სპორტის ამ რაინდული სახეობის დანერგვისთვის? შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, ჰოკეი ჩრდილოელთა საქმეა. აი, სწორედ მათ უნდა გავახსენოთ საქართველოში ფიგურული ციგურაობის განვითარების ისტორია.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიგურული ციგურაობა ლამაზი ოცნებააო, ამბობენ ერთნი, საქართველოში ფიგურული ციგურაობა ფეხს ადვილად მოიკიდებს და განვითარდება კიდეცო, ამტკიცებდნენ მეორენი. ეს უკანასკნელნი უფრო ცოტანი იყვნენ. მაგრამ სწორედ მათ გაიმარჯვეს. ფიგურული ციგურაობა არა მარტო დაინერგა საქართველოში, კერძოდ თბილისში, არამედ ამ ერთობ მიმზიდველი სახეობის ქართველმა წარმომადგენლებმა საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

გავიხსენოთ მარინე ცერცვაძე, რომელმაც 1975-76 წლებში საკავშირო თასის გათამაშებაში ყველას აჯობა. გავიხსენოთ ლია გაბელაიას გამარჯვება 1975 წელს იუგოსლავიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში — „ოქროს პირუეტი“. გავიხსენოთ გია შამყულაშვილის II ადგილი 1976 წელს ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე — „მეგობრობის თასი“, ან კიდევ მიხეილ სიხარულიძის გამარჯვება ჭაბუკთა შორის საკავშირო თასის გათამაშებაში. და ბოლოს, ონისე რუხაძის გამარჯვება შარშანდელი წლის მიწურულს ყაზანში გამართულ საკავშირო პირველობაზე. როგორც ვიუწყებოდით, ონისემ ყაზანში სამმაგი „ფლიპი“ შეასრულა, რომელიც ერთობ რთული ვარჯიშია. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში ამ ვარჯიშის შესრულება სულ ორმა სპორტსმენმა სცადა, მიზანს კი ერთმა მიაღწია.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ქართველ „ფიგურისტთა“ წარმატებების არასრული ნუსხაა.

სამწუხაროდ, თბილისელ ფიგურულ მოციგურავეებს არც შესაფერისი საწვრთნელი ბაზა აქვთ და, მით უმეტეს, სასპარეზო სარბიელი. ისინი სტანდარტული ზომის ყინულის სარბიელის ნახევარზე ვარჯიშობენ. სამაგიეროდ არის დაპირებები და მხოლოდ დაპირებები. თუ ქართველ ფიგურისტებს დროულად მიხედავენ, ცხადია, მათ სარბიელზე საქართველოს ჰოკეისტებიც აღიზრდებიან. მერე რა ვუყოთ, თუ საქართველოს ჰოკეის ერთობ უმნიშვნელო ტრადიციები გააჩნია.

სხვათა შორის ჰოკეის არც რუსეთში აქვს დიდი ხნის ისტორია. ამ სახეობაში პირველი საკავშირო ჩემპიონატი 1946 წელს ჩატარდა. ვეტერანები ახლა ღიმილით იხსენებენ, რომ ისინი, ვინც პირველ ჩემპიონატში შეძლო კაუჩუკის რგოლი ყინულის მოედნის ზედაპირისთვის აეცილებინა, ლამის ჰოკეის ვირტუოზებად მონათლეს.

დღეს კი...



იმათ ბუნებრივი პირობები უწყობთ ხელსო. დაიწყებენ ისევ სკეპტიკოსები.

დიახ, ასეა. მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, საბჭოთა ჰოკეისტებს, ჩეხოსლოვაკიელებს ან კანადელებს ჰოკეის დარბაზები რომ არ ჰქონდეთ, რას მიაღწევდნენ? მნიშვნელოვანს არაფერს.

გვახსენდება კურსკელი პირველთანრიგოსნის ბ. ტულუპოვის წერილი, რომელიც „ლელომ“ 11 წლის წინათ გამოაქვეყნა სათაურით: „მართლაც, რატომ არ უნდა იყოს ჰოკეი საქართველოში?!“

ტულუპოვი წერდა:

„ამას წინათ „სოვეტსკი სპორტში“ წავიკითხე წერილი: „იქნება ჰოკეი საქართველოში?“ მასში გამოთქმულმა აზრმა და ჩემმა პირადმა დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ თქვენს რესპუბლიკას ყველა პირობა აქვს, ჰოკეისტთა საუკეთესო გუნდი ჰყავდეს.

საქართველოს კალათბურთელების, ხელბურთელების, ფეხბურთელებისა და საერთოდ, სხვა სახეობათა წარმომადგენლების გამოსვლები, ქართველი ხალხის ტემპერამენტი იმის მნიშვნელოვანი პირობაა, რომ თქვენს რესპუბლიკაში შეიქმნას ჰოკეისტთა კარგი გუნდი, თუმცა ბუნებრივი პირობები ართულებს საციგურაოების მოწყობას. მაგრამ ეს ისეთი საკითხია, რომელსაც, ჩემი აზრით, ადვილად მოევლება.

რუსეთში იოლია ბუნებრივი საციგურაოების მოწყობა, მაგრამ ამინდის ჭირვეულობაზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული, ბევრგან ავაგეთ ხელოვნური ბაზებიც. რა იქნებოდა თქვენც აგეგოთ ხუთი-ექვსი ამგვარი ბაზა? ღრმად მწამს, ესეც საკმარისი იქნებოდა გუნდების შესაქმნელად, მატჩების გასამართავად და საკავშირო სარბიელზე ძლიერი კოლექტივის გამოსაყვანად.

მჯერა, რომ ჰოკეი საქართველოში აყვავდება. ოღონდ საჭიროა სათანადო პირობების შექმნა“.

...რედაქციაში წითელყელსახვევიანი ბიჭუნები მოვიდნენ. ხელში ზოგს ყავნჯი ეკავა, ზოგსაც შაიბა ჩაებღუჯა.

— მერვეკლასელები ვართ, თბილისის მე-11 ექსპერიმენტულ სკოლაში ვსწავლობთ. წინათ ზოგი კალათბურთში ვვარჯიშობდით, ზოგიც ფეხბურთში და ჭიდაობაში. საბოლოოდ ყველამ ჰოკეი ვამჯობინეთ. ვვარჯიშობთ კიდეც, ოღონდ ასფალტზე, გორგოლაჭებით. თუ გაზეთში დაწერთ, რომ თბილისში ჰოკეისტთა გუნდი არსებობს, მწვრთნელსაც გამოგვიგზავნიან და ყინულის მოედანსაც მოგვიწყობენ, — გვითხრეს ზაზა ოდიშვილმა, გურამ გოგსაძემ, მამუკა ჩარინაშვილმა, თენგიზ გოგსაძემ, გია ბუაჩიძემ, მისმა სეხნიამ დედიაშვილმა და სხვებმა. ბავშვების თხოვნაში, დიდი იმედიც იგრძნობოდა.

ეს იყო შარშან.

სამწუხაროდ, მაშინ ჰოკეის ნორჩ მოყვარულებს სანუგეშო ვერაფერი ვუთხარით. აი, ახლახან წითელ ყელსახვევიანი ბიჭუნები კვლავ გვეწვივნენ რედაქციაში. სანუგეშო რამ ვერც ახლა ვუთხარით. იმას კი შევპირდით, რომ მათს გულისნადებს „ლელოს“ მკითხველებსაც გავუზიარებდით.

ვინ იცის, რამდენი ჯან-ღონით სავსე ბავშვია საქართველოში, ამ პატარა ბიჭებივით რომ ოცნებობს ყინულის მოედანზე და ცნობილი ჰოკეისტის სახელზე. გვჯერა, ადრე თუ გვიან მათი ოცნება ფრთებს შეისხამს. საქართველოს სპორტში შაიბიანი ჰოკეიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

ა. გურასაშვილი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ლატვიის ერთ-ერთი საშუალო სკოლის ნორჩი მოსწავლეები ასე ეცნობიან ჰოკეის საიდუმლოებას; ფიგურული ციგურაობის ქართველი ოსტატები (მარცხნიდან) მ. სიხარულიძე, მ. ცერცვაძე და ლ. გაბელაია.

ი. ვინგრისისა და ჯ. კასრაძის ფოტოები.

## გვესაუბრება მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი

ბონი. მსოფლიო ჩემპიონების — გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჰ. შიონი ესაუბრა საკდესის კორესპონდენტს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატისთვის დასავლეთგერმანელი ფეხბურთელების მზადების შესახებ.

შიონმა აღნიშნა, რომ უელსის ფეხბურთელებთან ჩატარებულმა მატჩმა (1:1) ნათელჰყო, რომ „ჩვენი ეროვნული ნაკრები ჯერ კიდევ არ არის ისე შეკრული და შეთამაშებული, რომ მეტოქეს მთელი 90 წუთის განმავლობაში თავს მოახვიოს თავისი თამაში“, „ჩვენ უკვე კარგი ნაკრები გვყავს, მაგრამ არა მგონია, რომ იგი ახლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდი იყოს“ — თქვა შიონმა.

ჩემპიონატამდე დარჩენილი დროის გეგმებზე და გფრ-ის ნაკრებში ახალ მოთამაშეთა მოზიდვის შესაძლებლობაზე საუბრის დროს შიონმა აღნიშნა: „რა თქმა უნდა, აპრილამდე ასეთი შესაძლებლობა იქნება, მაგრამ ლაპარაკია ფეხბურთელთა მცირე რაოდენობის ჩარიცხვაზე. ჩვენ მოგვიწევს ოთხი შეხვედრის ჩატარება ნაკრები გუნდების დონეზე: 22 თებერვალს მიუნჰენში ინგლისელებთან, 8 მარტს მაინის ფრანკფურტში — სსრ კავშირის ნაკრებთან, 5 აპრილს ჰამბურგში — ბრაზილიის გუნდთან და 18 აპრილს — შვედებთან. ამას თუ დავუმატებთ მეორე ნაკრების სამ თამაშს, მაშინ, რა თქმა უნდა, არის საშუალება ნაკრების კანდიდატთა რიცხვის გაზრდისა. ოღონდაც გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე განსაზღვრულია“. შიონს იმედი არა აქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატში გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში ფრანც ბეკენბაუერი ისპარეზებს. „არა მგონია, თქვა მან, — რომ ფრანცმა ითამაშოს არგენტინაში, რადგან სწორედ ამ დროს თამაშდება აშშ-ის პირველობა და „კოსმოსი“, რომლის შემადგენლობაშიც იგი ახლა გამოდის, ამოცანად დაისახავს ქვეყნის ჩემპიონის წოდების შენარჩუნებას. ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გავაგზავნეთ თხოვნა მომავალი მატჩებისთვის ბეკენბაუერის „განთავისუფლების“ შესახებ და ახლა პასუხს ველოდებით, მაგრამ ჩემის აზრით, იმ პირობების შესრულება, რომლებსაც წამოგვიყენებს „კოსმოსი“, სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება“.

„მოხარული ვარ, — თქვა შიონმა, — რომ 8 მარტს შედგება ჩვენი და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა. უეჭველია, ეს მატჩი ჩვენი ფეხბურთელებისთვის ძალთა გამოცდა იქნება და სწორედ მაშინ მინდა განვსაზღვრო გუნდის შემადგენლობა, რომელიც 1 ივლისს პირველ მატჩს ჩაატარებს არგენტინაში. თუ თამაშის კლასის მიხედვით ვიმსჯელებთ, საწყენია, რომ საბჭოთა ეროვნული ნაკრები, როგორც სხვა ზოგიერთი ქვეყნის გუნდები, არ ისპარეზებენ მსოფლიო პირველობაში, მაშინ, როდესაც იქ უფრო სუსტი გუნდები გამოვლენ“. (საკდესი).

### მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

#### მედალი — ბულგარელ სამთო-მოთხილამურეებს

სოფია. ბულგარეთის სამთო-მოთხილამურეთა ნაკრებ გუნდს მიენიჭა ავსტრიული მედალი მთებში გადარჩენისთვის. სპორტსმენები ალპებში ვარჯიშობდნენ, როდესაც მათ მახლობლად ზვავმა ორი ტურისტი ნაპრალისკენ წაიღო. ბულგარელი სამთო-მოთხილამურეები საფრთხეს არ შეუშინდნენ და განსაცდელისგან იხსნეს გასაჭირში მყოფნი.

#### ხელბურთი — სასკოლო პროგრამაში

ჰავანა. ხელბურთი დიდად პოპულარულია თავისუფლების კუნძულზე. კუბელები უკვე რამდენიმე წელია მართავენ შეჯიბრებებს სპორტის ამ სახეობაში 9-16 წლის ბავშვებს შორის. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ხელბურთი აუცილებელი სასკოლო საგანი გახდება პირველ და მეორე-კლასელთათვის. ამჟერად კუბაში რეგისტრირებულია ხელბურთელთა 900 გუნდი, რომლებიც ღია მოედნებზე მთელი წლის განმავლობაში თამაშობენ.

#### „მილმა“ პირველ იანვარს აიღო სტარტი

ბერლინი. პირველ იანვარს, დილით ბერლინის ფრიდრიხსჰაინის პარკში სტარტი აიღო რბენამ „მილზე“, რომლის სიგრძე წელს 1978 მეტრს შეადგენდა. დისტანციის სიდიდე ყოველწლიურად მეტრობით იზრდება.

ამ ასპარეზობაში პირველად (1972 წელს) მონაწილეობდა 1200 ბერლინელი, ახლა კი სტარტზე დადგა გდრ-ის დედაქალაქის 10000 მცხოვრები. შეჯიბრებები „მილზე“ რბენაში საერთო-სახალხო დღესასწაულებისა და სპორტული ფესტივალების „ნიშანია“.

წელს ბერლინელების შემდეგ „მილზე“ ასპარეზობა ერფურტშიც ჩაატარეს.

(საკდესის კორ.).

### ჭადრაკი

#### გამარჯვება 59-ე სვლაზე

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების — ვ. კორჩნოისა და ბ. სპასკის ფინალური მატჩის მე-14 პარტიაში, რომელიც გადაიდო, მეტოქის კუს წინააღმდეგ სპასკის ეტლი და ზედმეტი პაიკი ჰქონდა.

თამაშის განახლებისას სპასკიმ კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და 59-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7,5:6,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

#### „სვიეტი“ ირჩევს

ბელგრადი, 28 დეკემბერი. იუგოსლავიის ილუსტრირებულმა ჟურნალმა „სვიეტმა“, რომელიც სარაევოში გამოდის, ტრადიციული საახალწლო ანკეტით წლის საუკეთესო მოჭადრაკედ ზედიზედ მეოთხედ დაასახელა ა. კარპოვი. (საკდესი).

### ფეხბურთი

## ლევ იაშინის აზრით

პარიზი. ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა ევროპული გუნდების საკლასიფიკაციო სია, რომელშიც I ადგილზეა გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები. II ადგილი ჰოლანდიის, ხოლო III — ესპანეთის გუნდებმა დაიკავეს.

სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებებმა XII-XIII ადგილები გაიყვეს. საბჭოთა ფეხბურთელებს გაუსწრეს გფრ-ის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, უნგრეთის, გდრ-ის, შოტლანდიის, იტალიის, რუმინეთისა და პორტუგალიის გუნდებმა.

**საკდესის სპორტული რედაქციის თხოვნით, ევროპის საფეხბურთო კლასიფიკაციის თაობაზე თავის აზრს გვიზიარებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევ იაშინი:**

— სამწუხაროა ასეთი ინფორმაციის მიღება. ეს ადგილი საჩვენო არ არის. უწინ საბჭოთა ნაკრები სამარცხვინოდ ჩათვლიდა ევროპის საუკეთესო გუნდთა სამეულში რომ არ მოხვედრილიყო. რამდენჯერმე პირველიც კი იყო. ამ ბოლო დროს კი... წლევანდელი კლასიფიკაციისთვის ამოსავალი იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შედეგები, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებმა წააგეს და ვერ მოხვდნენ პირველობის ფინალში.

ტყუილად კი არ ვაკრიტიკებთ ჩვენს ფეხბურთს.

და მაინც მე ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ ჩვენი ფეხბურთი აღმავლობის გზას დაადგება. ბევრი რამ არის დამოკიდებული ახალგაზრდა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებზე. (საკდესი).

გვესაუბრებიან მწვრთნელები, სპორტსმენები

# აჯამებენ სპორტული წლის შედეგებს



## დროა დაუბრუნდნენ საპატიო კვარცხლბეკს

**ვერა ბრინძაი — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში:**

— გასული წელი ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო. ამერიკის ქალაქ კისტოუნში მოვიპოვე სანუკვარი ოქროს მედალი, ხოლო საპატიო კვარცხლბეკის საფეხურზე აქეთ-იქით გვერდს მიმშვენებდნენ ჩემი მეგობრები ორი გალინა — სტეპანსკაია და ნიკიტინა. ასეთ წარმატებაზე, სტარტის წინ, მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო: სასიამოვნოა, როცა ოცნება აგიხდება (!)

1977 წელმა ჩემი პირადი ცხოვრებაც შეცვალა. და ამშიც კვლავ „ბრალი“ ციგურებს უნდა დავდო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საშა საფრონოვიც (რომელთანაც შევუღლდი) ხომ მოციგურავეა.

ჩემი საციგურაო ბედი საკმაოდ უჩვეულოა: სპორტის ამ სახეობაში პირველი ნაბიჯები გადავდგი საზამთრო ცენტრებიდან შორს — უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვსკში, სადაც ყინვიანი, ნამდვილი ზამთრის დღეები თითებზე ჩამოსათვლელია.

შეიძლება სწორედ ამიტომ მწყუროდა ასე გამარჯვება. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მე შეგნებული მქონდა ისეთი თვისებების აუცილებლობა, როგორიცაა: შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფვა და ვცდილობდი ყოველი ზამთრის დღის მაქსიმალურად გამოყენებას.

ამჟამად ვცხოვრობ კიევში, ვვარჯიშობ ბრწყინვალე ხელოვნურსაფარიან ბილიკზე, რომელზედაც იანვარში მოეწყობა ქვეყნის ჩემპიონატი ქალთა შორის. დიდი სურვილი მაქვს კარგად ვიასპარეზო კიევში, ხოლო შემდეგ დავიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ახალი წლის ამ პირველ დღეებში მინდა ვუსურვო ჩვენს მოციგურავე ვაჟებს: დროა დაუბრუნდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საპატიო კვარცხლბეკს!

* * *

სურათზე: ა. საფრონოვი.

## ოცდათორმეტი შესწორება რეკორდების ცხრილში

**სერგეი ვოიცეხოვსკი — სსრ კავშირის მთავარი მწვრთნელი ცურვაში, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:**

— დარწმუნებული ვარ, რომ 1978 წელს მოცურავეები ბევრ საკავშირო რეკორდს გააუმჯობესებენ.

გასულ წელს ნახევარზე მეტად განახლდა ჩვენი გუნდის შემადგენლობა. ახალ სეზონში ჩვენი ძირითადი ამოცანაა დებიუტანტების მოსინჯვა საპასუხისმგებლო სტარტებში, ქალთა პირველ ასპარეზობებში, რომელიც აშშ-ის ქალაქ ბოსტონში 7 და 8 იანვარს გაიმართება, ცნობილ სპორტსმენებთან — ევროპის ჩემპიონ ი. ბოგდანოვასთან, კონტინენტის პრიზიორებთან ქ. ინდრიკსონთან, ო. კლევაკინასთან და ლ. ცარიოვასთან ერთად გაემგზავრა 14 წლის გოგონების — ნაკრების ახალბედების ჯგუფი.

წლეულს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე ტრადიციული შეჯიბრების გარდა საბჭოთა მოცურავეები შეხვდებიან გდრ-ის, აშშ-ის, გფრ-ის სპორტსმენებს. 20 წლის შემდეგ კვლავ იასპარეზებენ ავსტრალიის კონტინენტზე, პირველად ჩაატარებენ მატჩს კანადელ მოცურავეებთან და მთავარი შეჯიბრება იქნება მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი, რომელიც აგვისტოში დასავლეთ ბერლინში გაიმართება.

მოსკოვის თამაშებამდე ორ-ნახევარი წელი დარჩა. ეს მონაკვეთი ზღვრული სისწრაფის მისაღწევად დიდი არ არის, მაგრამ საბჭოთა მოცურავეებს აქვთ ამის შესაძლებლობა. უკანასკნელ წლებში გაიზარდა მათი წვრთნის მოცულობა, სტარტების რაოდენობა.

ყველაფერმა ამან თავისი ნაყოფი გამოიღო: საწყლოსნო ბილიკების საბჭოთა ოსტატებმა შარშან საკავშირო რეკორდების ცხრილში 32 შესწორება შეიტანეს. დიდი სურვილი მაქვს ჩვენმა მოცურავეებმა ახლა მსოფლიო მიღწევებსაც „შეუტიონ“. (საკდესი).

* * *

სურათზე: ი. ბოგდანოვა.



## ხელბურთი

# ორ ჯგუფად

**ხელბურთში** ქალთა წლევანდელმა ჩემპიონატმა სტარტი ორ ჯგუფად აიღო. თორმეტი კოლექტივი ორად გაიყვნენ (6-6 გუნდი) და სვერდლოვსკსა და ვილნიუსში გაიმართეს შეჯიბრება.

სვერდლოვსკის ჯგუფში მოულოდნელობანი არ მომხდარა. პირველ ტურში კაუნასის „ჟალგირისმა“ დაამარცხა ზაპოროჟიეს ზიი — 20:13, ბაქოს „სპარტაკმა“ მოუგო ბროვარის „მეტალურგს“ — 15:13, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სვერდლოვსკი) კოლექტივმა დაამარცხა თანაქალაქელი „კალინინეცი“ — 20:18.

სამაგიეროდ სენსაციით დაიწყო შეჯიბრება ვილნიუსის ჯგუფში: ჩემპიონატის დებიუტანტმა ადგილობრივმა „ეგლემ“ შეძლო გამოცდილი მეტოქის — მოსკოვის „ლუჩის“ დამარცხება — 16:15. აღსანიშნავია, რომ [illegible] 7 წუთით ადრე „ლუჩი“ წინ იყო — 15:10, დარჩენილ დროში „ეგლემ“ 6 უპასუხო გოლი გაიტანა.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (კიევი) — „კოლოსი“ (ბერეგოვო) — 30:9, „როსტელმაში“ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (კიშინიოვი) — 25:17.

### 15 ქალაქი

ესპანეთის 15 ქალაქმა განაცხადა პრეტენზიები ფეხბურთში 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ჩატარებაზე. ეს ქალაქებია: მადრიდი, ბარსელონა, ალიკანტე, ბილბაო, ელჩე, ხიხონი, კორუნია, მალაგა, ოვიედო, სანტანდერი, სარაგოსა, სევილია, ვალენსია, ვალიადოლიდი და ვიგო.

### კრაიშე აღარ ითამაშებს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებისა და დრეზდენის „დინამოს“ ცნობილმა ნახევარმცველმა კრაიშემ გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს. ვეტერანს 30 წელი შეუსრულდა და ახლა მწვრთნელობას აპირებს.

### პირველი სნაიპერი — ბეტეგა

ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების ყველაზე უფრო შედეგიანი ფეხბურთელია იტალიელი ბეტეგა, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა. 7 გოლის ავტორია კრანკლი (ავსტრია).

14 ფინალისტიდან (გფრ-ისა და არგენტინის გუნდების გამოკლებით) შესარჩევი მატჩები წაუგებლად დაამთავრეს ირანელებმა (9 მატჩი, 2 ფრე), პოლონელებმა (6 მატჩი, 1 ფრე), ჰოლანდიელებმა (6 მატჩი, 1 ფრე), ბრაზილიელებმა (6 მატჩი, 2 ფრე), ავსტრიელებმა (6 მატჩი, 2 ფრე) და შოტლანდიელებმა (4 მატჩი, 1 ფრე).

### „კოსმოსის“ დიდი გეგმები

ნიუ-იორკის კლუბ „კოსმოსს“ დიდი გეგმები აქვს. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი აპირებს თავისი რიგები შეავსოს ისეთი ოსტატებით, როგორიც არიან რიველინო (ბრაზილია), ვილა (არგენტინა), ბრაიტნერი (გფრ), რივერა (იტალია)...



### დიდი იმპორტი შვეიცარიაში

შვეიცარიის კლუბებში უამრავი უცხოელი ფეხბურთელი გამოდის. სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ მონაცემებით ამ ქვეყნის კლუბებში თამაშობს 37 უცხოელი, ხოლო პირველი ლიგის 12 გუნდიდან ცხრას სათავეში დასავლეთგერმანელი სპეციალისტები უდგანან.

### პირი — ფეხბურთელი, მხატვარი, ექიმი

ხოსე მარტინესი, რომელიც უფრო პირის მეტსახელით არის ცნობილი, ესპანეთის ნაკრების კაპიტანი და წამყვანი ნახევარმცველია. ამავე დროს იგი ცნობილი გახდა როგორც მხატვარი. პირი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენაში, მისი სურათები იყიდება. გარდა ამისა, პირი სპორტულ მედიცინას ეუფლება.

### ოსგუდი — ფილადელფიაში

**კიდევ** ერთი ევროპელი ვარსკვლავი გაიყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისის ნაკრებისა და „საუთჰემპტონის“ ყოფილი მოთამაშე პიტერ ოსგუდი გადავიდა აშშ-ს პროფესიულ კლუბ „ფილადელფიაში“.

### ყველაზე უდისციპლინო

უდისციპლინობის მხრივ ინგლისის სტადიონებზე ყველაზე სავალალო შედეგები აქვთ ლონდონის „ჩელსის“ გულშემატკივრებს. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც პოლიციამ სპეციალურად გამოაქვეყნა „დარბევის“ ცხრილი.

### ჩოგბურთის კორტებზე

მელბურნი. ცნობილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ივონ გულაგონგ-კოულიმ გაიმარჯვა ქვეყნის ღია ჩემპიონატში. 26 წლის სპორტსმენმა, რომელიც შესვენების შემდეგ (ქალიშვილი შეეძინა) დაუბრუნდა კორტს, გადამწყვეტ მატჩში მოუგო თავის თანამემამულესა და მოგვარეს ჰელენ კოულის — 6:3, 6:0.

ვაშინგტონი. აქ გამართული ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირის პირველი მოულოდნელობა იყო უიმბლდონის ტურნირის მრავალგზის გამარჯვებულის ბილი-ჯინ კინგის (აშშ) მარცხი 19 წლის ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელთან რეგინა მარშიკოვასთან — 1:6, 3:6.

ნიუ იორკი. უიმბლდონის ტურნირის 1977 წლის გამარჯვებულმა შვედმა ბიორნ ბორგმა განაცხადა, რომ იგი არ იასპარეზებს „უორლდ ტიმ ტენისის“ ჩემპიონატში. 21 წლის ბორგი ძალას იზოგავს მსოფლიო მნიშვნელობის ტურნირებისთვის.

პირველი მათგანი ნიუ იორკში „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში ჩატარდება 4-8 იანვარს. ბორგის მეტოქეები იქნებიან: ჯ. კონორსი, ბ. გოტფრიდი, რ. ტენერი, ე. დიბსი (ყველა — აშშ), გ. ვილასი (არგენტინა), მ. ორანტესი (ესპანეთი) და რ. რამირესი (მექსიკა). (საკდესი).

## ჰოკეი

**კანადის** ქალაქ კვებეკში დამთავრდა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა სპორტსმენებმა გადამწყვეტ ფინალურ შეხვედრაში მოუგეს შვეციელ თანატოლებს (5:2) და მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული.

## კრივი

### ახალი ტრაგედია პროფესიულ რინგზე

**პარიზი.** 20 წლის ასაკში დასრულდა დასავლეთგერმანელი პროფესიონალი მოკრივის, ქვესაშუალო წონაში ევროპის ყოფილი ჩემპიონის იორგ ეიპელის კარიერა. კრეიში (საფრანგეთი) ფრანგმა ალენ მარონმა იგი ბოლო მე-15 რაუნდში ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში ჩააგდო. იორგი წამოდგა, მაგრამ კვლავ მოცელა მეტოქემ. ეიპელმა გრძნობა დაკარგა. ექიმები ტვინში სისხლის ჩაქცევაზე ეჭვობდნენ და მძიმე მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენი საავადმყოფოში წაიყვანეს.

ეს ისტორია ტიპიურია პროფესიული სპორტისთვის. ბოლო 10 წლის განმავლობაში დაღუპული მოკრივეების რაოდენობამ 7 ათეულს მიაღწია.

ეიპელის ტრაგედია კვლავ აყენებს პროფესიული კრივის არსებობის საკითხს, რომელიც გაუმაძღარმა საქმოსნებმა — თანამედროვე „გლადიატორებად“ ქცეულ სპორტსმენთა ჯანმრთელობის და ხანდახან სიცოცხლის ფასად — გამდიდრების წყაროდ გაიხადეს. გაზეთი „მატენი“ აღნიშნავს, რომ სოციალისტურ ქვეყნებში დიდი ხანია გადაჭრეს ეს „მორალური და სამედიცინო ხასიათის პრობლემა, რომელიც მხოლოდ მოყვარულთა შორის და ისიც სამრაუნდიანი ბრძოლის ჩატარების უფლებას იძლევა“ (საკდესი).

## კუბელები ემზადებიან

**ჰავანა.** კუბის კრივის ფედერაციას 1978 წლის ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიადის გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნია. ამიტომ კუბის ნაკრები გუნდი, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია მონრეალის ოლიმპიადაზე (სამი ოქროს, სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლები), დაიტოვა რა თავის შემადგენლობაში სამივე ოლიმპიური ჩემპიონი, თანდათან ახალგაზრდავდება.

რინგს გამოეთხოვნენ 1976 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები დუვალონი, გარბეი, მარტინესი და სორია. ამჟამად ნაკრების შემადგენლობა ასეთია (2-2 მოკრივე ყოველ წონით კატეგორიაში): ერნანდესი და პერდომო, ბელფორდი და რამირესი, ორტა და პლიუმა, ერერა და კორეა, აგილარი და მერინო, სტაბლე და ალდამა, ხორინი და კორეა, კორდერო და მარტინესი, გომესი და მონტოია, ბაგესი და ვაილერი და სტივენსონი და მილიანი. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 53-ე ტირაჟისა, რომელიც 31 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა.

პირველი: ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 4710 მანეთია (27 ბარათი), ოთხისთვის — 108 მან. (2035), სამისთვის — 5 მან. (56596).

მეორე: ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (12 ბარათი), ოთხისთვის — 139 (2067), სამისთვის — 5 მან. (56616).

მოგების გაცემა იწარმოებს 11 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით.

**1978 წლის** „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის პირველი ტირაჟის (იგი 4 იანვარს მოსკოვში გაიმართა) შედეგები ასეთია.

„სპორტლოტო“: 8 (კრივი), 18 (რიკაობა), 21 (ცხენოსნობა), 22 (ციგურები), 34 (ხელბურთი), 39 (სამბო). შეღავათიანი ბურთულა — 43 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო-2“: 8 (კრივი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 15 (წყალბურთი), 38 (მშვილდოსნობა), 43 (ფარიკაობა), 47 (ჰოკეი ბურთით). შეღავათიანი ბურთულა — 2 (ავტოსპორტი).

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 07704